ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისი

№ 147

კვირა, 8 ივლისი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1901

ივერია

№ 147

კვირა, 8 ივლისი, 1901 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წლიწადი მეორე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენის.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1901—1902 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო გეოგრაფია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და მხოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ჰ. მანუელიანცს, ტფილის. (24—133—7)

ტფილისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორის თანამდებობის აღმასრულებელი

საყოველთაოდ აცხადებს, რომ **მოსწავლეების მიღება უმცროს განყოფილებაში** და მოსამზადებელ კლასის ახლად გახსნილ **საშუალო განყოფილებაში** დანიშნულია ამა 1901—1902 სამოსწავლო წლის 28 და 31 აგვისტოსათვის. უმცროს განყოფილებაში მიიღებიან ბავშვები 7-დგან 9 წლამდე **უეგზამენოდ**; საშუალოში—8-დგან 10 წლამდე **ეგზამენით.**

თხოვნები მიიღება ორშაბათობით, ოთხშაბათობითა და შაბათობით დილის 11-დგან ნაშუადღევის 1 საათამდე სასწავლებლის შენობაში. თხოვნას უნდა ახლდეს: ნამდვილი დაბადების მოწმობა, მოწმობა წოდებისა და ყვავილის აცრისა და აგრეთვე პირი ამ მოწმობებისა. თხოვნები, რომლებსაც უამ-მოწმობებოთ წარმოადგენენ, არ მიიღება. (6—6.—1)

„ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ გამგეობა აცხადებს, რომ იგი ჰნიშნავს

ორს პრემიას

200 მან. და 100 მან.

ქართულ დრამატიულ ნაწარმოებთა დასაჯილდოვებლად.

პრემიის პირობები შემდეგია:

1, საპრემიოდ წარმოდგენილი პიესა უნდა იყოს ორიგინალი, დაუსტამბავი და სცენაზედ დაუდგმელი.

2, პიესა უნდა შეიცავდეს სამ მოქმედებაზე არა ნაკლებს.

3, პიესა უნდა გამოიგზავნოს „ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ გამგეობის სახელზე რაიმე დევიზის ზედ-წარწერით; პიესასთან ერთად უნდა წარმოდგენილი იყოს დაბეჭდილი კონვერტი, სადაც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი.

შენიშ. კონვერტი გაიხსნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პიესა ცნობილ იქმნება ჯილდოს ღირსად.

4, პიესის საპრემიოდ წარმოდგენის ვადა თავდება პირველს ოქტომბერს 1902 წლისას.

5, „დრამატ. საზოგად.“ გამგეობას ორის წლის განმავლობაში განსაკუთრებული უფლება აქვს პრემიით დაჯილდოვებულ პიესის წარმოდგენისა სცენაზე.

6, დაჯილდოვებულის პიესის ავტორს მიეცემა ჰონორარად თითოეულ წარმოდგენის მთელის შემოსავლის 5 პროცენტი.

7, შედეგი პიესების კონკურსისა გაზეთებში იქნება გამოცხადებული. (3—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფებს იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჩ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

გ. ი. გმელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. ზ. კარამეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. თარხნიშვილი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არჯანიტაკი. 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
Навасардіана.
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოდ).

მიხეილ გედევანიშვილისა,

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა; სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

გ. ი. შიშინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ფელეტონი

ბიბლიოგრაფია

Gottfried Merzbacher: Aus den Hochregionen des Kaukasus. Wanderungen, Erlebnisse, Beobachtungen. Leipzig 1901, 2 Bde. (გოტფრიდ მერცბახერი: კავკასიის მაღლობებიდგან. მოგზაურობა, თავს-გარდასავალი და დაკვირვებანი. ლეიპციგი 1901 წ. 2 ტომი). XXXVII + 957 გვ. და VI + 963 გვ.

(შემდეგი *)

ქართველები სილამაზის მხრივ ძალიან სახელ-განთქმულნი ვართ ევროპაში. ევროპიელმა სულ რომ არა იცოდეს-რა საქართველოს შესახებ, ეს მაინც გაუგონია, რომ ქართველები (განსაკუთრებით ქალები) ძალიან ლამაზები არიანო. თავისს-თავად საგულისხმოა, რომ ქართველების სილამაზეზე მერცბახერიც იტყოდა რამეს თავისს წიგნში. იგი სწერს:

„მეორე საერთო ნიშანი ქართველ ხალხთა არის მამაკაცთა შესანიშნავი სხეულის სილამაზე; ამ ზომამდის განვითარებულსა და ასე ხშირად ვერსად მთელს დედა-მიწის ზურგზე ვერც ერთს ერში ვერ შეჰხვდება ადამიანი. მწყობრი და კეთილ-შობილური სახის მოქნილობა, დიდი, შავი, ბრწყინვალე თვალები, მოშავო ან შავი თმა, თეთრი კანი, მწყობრი, პატარა, თეთრი-კრიალა კბილები, მშვენიერი შავი წვერ-ულვაში, მოხდენილი, ვიწრო და ზომიერი ტანი, ძვლების ნაზი შენობა, მოხდენილი მიხვრა-მოხვრა და სწრაფი მოძრაობა, მშვენიერი ხელები და ფეხები აქვთ ყველას,—როგორც წარჩინებულთ, ისე დაბალ წოდების წარმომადგენელთაც“.

მერცბახერს განსაკუთრებით გურულები მოსწონებია. „გურულებში — სწერს იგი—მოგროვებულია ქართველ რასსის ყველა გარეგნული უპირატესობანი გაძლიერებულის ზომით, ამათზე უფრო ლამაზს ადამიანებს ვერსად მთელს დედა-მიწის ზურგზე ვერ ჰნახავს ადამიანი. მათს სიმშვენიერეს უფრო აძლიერებს მათი თავისებური ჩაცმულობა, რომელიც დღეს ქართველებში ხმარებულ ყაბარდულ ჩაცმულობისაგან განსხვავდება“...

დიდის ქებით იხსენიებს იგი იმერლების სილამაზესაც. „კავკასიის ყველა ტომთაგან იმერლები გურულებთან ერთად უულამაზეს ხალხად უნდა ჩაითვალნენ, და ამის თქმა-კი ბევრს ჰნიშნავს ისეთს ქვეყანაში, სადაც მამაკაცთა სილამაზე უფრო ხშირი მოვლენაა, ვიდრე დედა-მიწის სხვა რომელსამე ნაწილში. მათი სხეულის შენობა გვიჩვენებს იშვიათს სიმწყობრეს, წერწეტს ზრდას, ლამაზს, კეთილ-შობილურს მიმოხვრას, ნაზს ნაწილებს, სახელდობრ, პატარა ხელებსა და ფეხებს. იმერლების სახეს კეთილ-შობილური მოქნილობა აქვს, ნაზი კანი, დიდი, ბრწყინვალე შავი თვალები, მწყობრი წამწამები, მეტად მშვენიერი წვერ-ულვაში და აგრეთვე თავზე სქელი შავი თმა. იმერელი ქალებიც ქართველთაგან უულამაზესებად ითვლებიან; მხოლოდ მათი სახის მოქნილობა ცოტა ურიულს ტიპს მოგაგონებთ“.

საზოგადოდ, მერცბახერს ჩვენებურ ქალების სილამაზე ისე არ მოსწონს, როგორც მამა-კაცებისა. იგი განაგრძობს: „და თუ ქალების გარეგნული გამომეტყველება მამა-კაცებისაზე ნაკლებ მოხდენილია და საზოგადოდ აქაური ქალები მათის სილამაზის შესახებ ევროპაში გავრცელებულს სახელს ვერ ამართლებენ, ამისი მიზეზი ის-კი არაა, ვითომ მათს სახეს ნაკლები სიმწყობრე ეტყობოდეს, ვინემ მამა-კაცებისას, ან ვითომ სახის ნაწილებს სილამაზე აკლდეს, არამედ უმთავრესად ის, რომ მათ მეტად მოქნილი სახე, რამოდენიმედ მკაცრი გამომეტყველება და გაშტერებული გამოხედულობა აქვთ. ეს თვისებანი მამა-კაცის სილამაზეს ადიდებენ, მაგრამ დედა-კაცის სახეს არ უხდებიან; ქართველ ქალების სახეს გაშტერებული, მარმარილოსავით ცივი და ამიტომ ხშირად უეშხო გამომეტყველება აქვს. ამასთან ქართველი ქალები ძალიან მალე ბერდებიან. ამ ზოგადად თქმულ წინადადებებით იმისი თქმა არ მინდა, რასაკვირველია, ვითომ ქართველს ქალებში ბევრი მართლა ძალიან ლამაზი არ ერიოს“.

სხვა ადგილას ჩვენი ავტორი ამავე საგანს უბრუნდება და განაგრძობს: „ქართველი ქალები ევროპიელს პირველ შეხედვისათანავე აჯადოვებენ თავიანთის მწყობრ ქუთუთოებში ჩასმულ შესამჩნევად დიდი და შავი თვალებით. როცა ასეთი თვალები შემოგხედვენ, გგონიათ მათში რაღაც საიდუმლოებას, ძლიერს ვნებას, ტემპერამენტსა და ჭკუასა ჰხედავთ. ყურებთან ჩამოშვებული ორი კავი და თავისებური ჩაცმულობა კიდევ უფრო აძლიერებს უცნაურს, არა ჩვეულებრივს სანახაობას. მაგრამ ილლუზია მალე ირკვევა; უფრო ხანგრძლივადა და საფუძვლიანად დაკვირვების შემდეგ ჰხედავთ, რომ სახე ძალიან ღრმად მოქნილია, ცხვირი ძალიან გრძელი, შემოხედვა—უსიცოცხლო, გამოუმეტყველო, ცივი და გაშტერებული და რომ საზოგადოდ სახეს, სიარულს, მიმოხვრასა და მთელს არსებას სინაზე და სიკოხტავე აკლია. და რადგანაც სახით, თავისის მორთულობით, ჩაცმით, ერთის სიტყვით, მთელის გარეგნობით ყველანი—უკაცრავად ამ სიტყვისათვის—ბატებსავით ერთმანეთსა ჰგვანან, ამიტომ ინტერესი მალე გიქრებათ. ამასთან მათი თავისებური თავის მორთულობაც არ აძლევს მათ მოხდენილს გამომეტყველებას. იგი აპატარავებს სახეს და სრულიადაც ვერ ჩაითვლება ლამაზად... ამნაირად ქართველი ქალები, საერთოდ მაინც, ვერ ამართლებენ იმ ზღაპრულს წარმოდგენებს მათის სილამაზის შესახებ, რომლებიც ევროპაში გავრცელებულია“.

ასეთი შთაბეჭდილება მიუღია მერცბახერს, ქუთაისში მიმავალს, როცა იგი რკინის გზის ვაგონში მჯდარა და იქ მჯდომი თუ სადგურებზედ მდგომი ქალები უთვალიერებია. ქუთაისის ბულვარზედაც ვათვალიერე იმერელი ქალებიო, ამბობს იგი ქვევით, მაგრამ აქაც მათგან ასეთი შთაბეჭდილება მივიღეო.

---

*) იხ. „ივერია“, № 143.

ბ. გ. მაღალაშვილი.—შინაგან სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მუღიანი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. ზ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. შატილოვი—თვალის 10—11 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. გ. ფედოროვი. შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

გ. დ. მარჯვეიძე—საქირურგო—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბექთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბედოგოლოვი—შინაგანის (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

კვირაობით:

ბ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით.

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილით—12—1, საღამოთი 6—7. კოლონოვის ქუჩა, 16, საკ. სახლი. (ნ.)

ახალი ამბავი

⁂ ტფილისის თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის სადგომში 6 ივლისს, საღამოს 9 საათზედ, ბ-ნის ან. ნ. ფურცელაძის თავმჯდომარეობით კრება ჰქონდა ტფილისის სავაჭრო-ამხანაგობის „შუამავლის“ წევრთა. კრების გახსნისათანავე ამხანაგობის სავაჭრო მაღაზიის ამ ორის წლის ანგარიშის განხილვას შეუდგნენ. ეხლანდელს გამგეობას რომ მაღაზია მიუღია, ჰქონია სულ 6,028 მან. 24 კაპ. ქონება. აქედგან მარტო ნისიად გაცემულ საქონლისა ყოფილა 3,605 მან. 40 კაპ. (ეს ფული ჯერეც მოუკრებელია); ამავე დროს მაღაზიას ვალი ჰქონია სულ 2,374 მან. 95 კაპ., 1899 წლის 5 ოქტომბრიდგან ამ მიმდინარე 1901 წლის 1 მაისამდე ამხანაგობას ჰქონია: მაღაზიაში 3,605 მან. საქონელი, ნისიებიანად სულ 6101 მან. 18 კაპ., ვალის 2374 მან. 95 კაპ. გამოკლებით—3,726 მან. 23 კ. ამ ხნის განმავლობაში სხვა-და-სხვა ხარჯი ყოფილა სულ 4,429 მან. 86 კაპ. ასე რომ ყოველსავე ხარჯსა და ვალს გარდა აღნიშნულ დროსთვის ამხანაგობას ჰქონია 1376 მანეთი 63 კაპ. მცირე კამათის შემდეგ კრებამ ანგარიში დაამტკიცა. შემდეგ კრებამ, განიხილა რა მოხსენება გამგეობისა იმის შესახებ, რომ საჭიროება მოითხოვს წესდების მე-16 მუხლი შეიცვალოს, რადგანაც ბევრნი არიან მსურველები ჩაეწერნენ ახალ წესდებით და ფული შემოიტანონ და ამის შესრულება ჩვენ არ შეგვიძლიან, რადგანაც წევრი საზოგადო კრებამ უნდა აირჩიოს, კრებამ გადასწყვიტა, რომ აღნიშნული მუხლი ისე იქმნეს შეცვლილი, რომ ახალის წევრების მიღების ნება მიეცეთ გამგეობისა და კონტროლის შეერთებულს სხდომას. დაწესდა აგრეთვე ამავე სხდომაზედ, რომ ამიერიდგან პაის ფული 20 მან. გახადონ და ვისაც ამდენი ექნება შეტანილი ორი ხმა ექნეს მას საზოგადო კრებაზედ. უმნიშვნელო საქმეების განხილვის შემდეგ კრებამ ერთხმად სთხოვა კონტროლისა და გამგეობის წევრებს იგინივე დარჩენილიყვნენ ამ თანამდებობაზედ. კანტროლის წევრთა კანდიდატებად არჩეულ იქმნენ მღ. ბერიძე და ბ-ნი მასურაძე, ხოლო გამგეობის წევრათ ბ-ნი დავითაშვილი და ტატიშვილი.

⁂ უმართებულესს სენატში ლაპარაკი აღიძრა იმის შესახებ, რომ ქალაქებსა და ერობათ აქვთ თუ არა უფლება რკინის გზათა მამულებს დასაფასებელი გარდასახადი გააწერონ თავის სასარგებლოდ. ამ საგანმა სენატში აზრთა შეუთანხმებლობა გამოიწვია და ამის გამო იგი სახელმწიფო საბჭოში იქმნა შეტანილი განსახილველად.

⁂ საქართველოს ეპარქიაში სულ 200 სამრევლო-საეკლესიო სკოლაა, რომელთაგან 39 სკოლაში მარტო ქართველი ყმაწვილები სწავლობენ, 34 სკოლაში ქართველები და სხვა ეროვნების ყმაწვილები, მაგრამ ქართველები სჭარბობენ, 32 სკოლაში მარტო ბერძნები სწავლობენ, 58 სკოლაში რუსები სჭარბობენ სხვა ეროვნების ყმაწვილებს, დანარჩენ სკოლებში სწავლობენ ოსები, უდები, აისორები და სომხები.

⁂ გაზ. „კავკ.“ სწერს: საქართველოს ეპარქიის სასწავლებელთა საბჭომ შეიმუშავა სამრევლო-საეკლესიო სკოლებში სასწავლო საგნების განაწილების წეს-რიგი ოთხი წლის განმავლობაში. ამიერიდგან ადგილობრივ საეკლესიო სკოლებში სწავლა 4 წელს გაგრძელდება იმ აზრით, რომ მოსწავლეთ რუსული ენა უკეთ შეითვისონ. ამასთან საპატიო ადგილი დაეთმობათ ადგილობრივ ენებსაც (ქართულს, ბერძნულსა და ოსურს), განსაკუთრებით საღმრთო სჯულის სწავლებაში. პირველ წელიწადს საღმრთო სჯულის სწავლება სამშობლო ენაზედ იქმნება, მეორე წელს სამშობლო ენას უპირატესი ადგილი დაეთმობა, მაგრამ განვლილ საგნებს რუსულ ენაზედ გაიმეორებენ, მესამე წელს სამშობლო და რუსულს ენებს თანასწორი ადგილი ექმნებათ, ხოლო მეოთხე წელს, რომელიც დანიშნულია განსაკუთრებით რუსულ ენის შესასწავლებლად, საღმრთო სჯულის სწავლება მხოლოდ რუსულს ენაზედ იქმნება, მაგრამ მაინც ამ წელსაც 4 გაკვეთილი დაეთმობა ქართულ საეკლესიო ენის სწავლებას; ამ გაკვეთილებზედ მოსწავლენი საღმრთო წიგნებს სამშობლო ენაზედ წაიკითხავენ.“

⁂ ბელგიის უსახელო საზოგადოების დირექტორი ბ-ნი რიდზინსკი ამ დღეებში ტფილისიდგან ბელგიაში დაბრუნდა.

⁂ ტფილისის ქალაქის მოურავი გ. გ. ევანგულოვი ბორჯომში წავიდა.

⁂ ბუხარის ემირს მიუღია პიატიგორსკის ღარიბთა დამხმარებელ საზოგადოების მუდმივ საპატიო თავმჯდომარის წოდება.

⁂ იმპერატრიცის მარიამ ალექსანდრეს ასულის უსინათლოთა სამზრუნველოს თვალის სამკურნალოს დირექტორი მკურნალი გ. ა. ტარსაიძე ორის თვით საზღვარ-გარეთ მიდის. იმის მაგიერ დროებით დირექტორის თანამდებობას ასრულებს მკურნალი ა. ნ. შატილოვი.

⁂ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს ქალაქ ტფილისის სასწავლებელთა უფროსებისათვის ცირკულიარი გაუგზავნია, რომლითაც ავალებს მათ მოსწავლეთ თვალყური ადევნონ, რომ სეირნობის თუ სხვა დროს წესიერება არ დაარღვიონ ხოლმე.

⁂ „მშაკსა“ სწერენ ახალქალაქიდგან, რომ წვიმების შემდეგ „პოტენტოტური ბაღლინჯო“ სრულიად მოისპო, მაგრამ მის ნაცვლად ბავრასა, ხოსპისა, მურჩახეთსა, ჯანდერასა და სხვაგან მრავალი პურის ჭია გაჩნდა, რომელიც საშინლად თურმე ანადგურებს მოსავალს.

⁂ როგორც „ახ. მიმ.“-სა სწერენ ქუთაისიდგან, ბათუმის საბჭოში მომხდარ ამბის გამოსარკვევად საგუბერნიო მთავრობას უფროსი მკურნალი ბიბიკოვი გაუგზავნია.

⁂ ტფილისის გუბერნატორს დაუვალებია პოლიცმეისტერისა, ქალაქის მოურავეებისა და მაზრის უფროსებისათვის, რომ სასანიტარო სამკურნალო პირობათა გაუმჯობესებას მიაქციონ განსაკუთრებული ყურადღება.

⁂ ყაზანის უნივერსიტეტთან არსებულმა ბუნების-მეტყველთა საზოგადოებამ ამ ზაფხულს ტფილისის გუბერნიაში ყაზანის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი ა. ვ. ლავრსკი გამოგზავნა, რომ კავკასია გეოლოგიურად გამოიკვლიოს.

⁂ 5 ივლისს ნატანებ-სუფსას შუა მიმავალ მატარებელს № 162 დასცემიან ვიღაც ბოროტ-გამზრახველნი, ვაგონის კედელი შეუმტვრევიათ და 4 ყუთი საკერავი მანქანა მოუპარავთ; გაუფუჭებიათ იქვე დაწყობილი ლოგინი და წიგნები.

⁂ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის გამგეობაში საღამოობით მუშაობა შეწყვეტილ იქმნა ზაფხულის სიცხეების გამო.

⁂ 27 ივნისს პეტერბურგიდგან პიატიგორსკში ჩამოსულა სერბიის ელჩი ს. ი. ნოვაკოვიჩი.

იმ ადგილას, საიდგანაც ჩვენ ზემო სტრიქონები ამოვწერეთ, მერცბახერს აწერილი აქვს ქართველ ქალების ჩაცმა-დახურვა. ამ აღწერაში რამდენიმე შეცდომა შეჰპარვია, მაგრამ ჩვენ ამას აქ აღარ ვიხსენიებთ. მხოლოდ ორიოდე სიტყვა ისევ აქ მიღებულ შთაბეჭდილების შესახებ.

მერცბახერი პირველი არ არის, რომელიც ასეთს მსჯავრსა სდებს ქართველ ქალის გარეგნობას. ასეთივე აზრი აქვთ გამოთქმული, მაგალითად, კოხსა და, თუ არა ვსცდებით, ჰაკსტ ჰაუზენსაც ქართველ ქალების შესახებ. ჩვენ გვგონია, რომ ეს აზრი მთლად სინამდვილეს არ ეთანხმება. ხსენებული ევროპიელები ქართველს ქალს ეშხს, სინარნარესა და სხვა ამისთანებს უწუნებენ. ჩვენის აზრით, ამისი თქმა საერთოდ ქართველს ქალებზე არ შეიძლება. არ შეიძლება, რადგან ეშხი და სხვა ამისთანა თვისებანი აღზრდის შედეგს შეადგენენ და ისე ძნელად შესაცვლელ ფიზიოლოგიურს საფუძველზედ არ არიან დამყარებულნი, როგორც სხეულის სილამაზე. სილამაზე, ვითარცა სხეულის მწყობრი შენობა და სხვა-და-სხვა ნაწილთა ერთმანეთთან სიმმეტრიულად შეფარდებულობა ჯიშზედ, მოდგმაზედ, გვარ-ტომობაზედ,—საერთოდ რასსაზედ არის დაფუძნებული, მაშასადამე, ისეთს ნიადაგზედ, რომელიც ბუნებრივის ხასიათისაა. ეშხი და საზოგადოდ სახის გარეგნული გამომეტყველებაკი შენაძენი, შენასწავლი თვისება გახლავთ. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს იმ არეს, საზოგადოებას, საერთოდ საზოგადოებრივ ცხოვრებას, რომელშიაც ქალი ტრიალებს. და ამ მხრივ, ცხადია, ყველა ქართველი ქალები ერთნაირს პირობებში არ იმყოფებიან. საქმე იმაშია, თუ რა წრისა და რა საზოგადოების ქალები ნახეს და დაათვალიერეს ამ ევროპიელებმა. რამდენადაც მერცბახერის წიგნიდგან სჩანს, არც ერთს ქართველს ქალსა და არც ერთს ქართველს ოჯახს არ გასცნობია ჩვენში. მხოლოდ სვანეთში გაუცვნია ორიოდე ოჯახი, რაიცა აღნიშნულის კითხვის გარდასაწყვეტად საკმარისი სრულიად არ არის. და რომ რკინის გზის ვაგონში და ან ქუჩაში ქალების დანახვა არა კმარა იმის გასაგებად, თუ ისინი ეშხიანნი არიან, თუ არა, ამაზე მგონია, ყველა დამეთანხმება. ამისათვის საჭიროა, როგორც ზევითაც ვთქვით, უფრო დაახლოვებით გაცნობა, ოჯახებში შესვლა, დიდის საზოგადოების და თავ-ყრილობის ნახვა და უფრო საფუძვლიანად დაკვირვება. მერცბახერს ჩვენი მაღალის ან განათლებული წრის ქალები რომ ენახა და გაეცნო, არა მგონია მათის სილამაზისათვის ასეთი მსჯავრი დაედო. ვინ იცის, იქნება ისეთსაც-კი შეჰყროდა, რომელსაც თავისის ეშხით ქ. მიუნხენიც სრულიად დაევიწყებინებია და ბეწვეულობის მაღაზიაც (ჩვენი ავტორი ბეწვეულობით ვაჭრობს მიუნხენში)...

ვამბობ, მაშინ სხვა აზრს შეადგენდა-მეთქი, რადგანაც ჩვენი სხვა-და-სხვა წრის ქალები სახის გამომეტყველებით ანუ, როგორც მერცბახერი ამბობს, „ეშხით“ ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდებიან. ნასწავლი და საზოგადოებაში გამოსული ქალი მორცხვი აღარაა; იგი არის თამამი,—ლაპარაკში, მიხვრა-მოხვრაში და საზოგადოდ ქცევაში; სცდილობს ყველას მოეწონოს და ამიტომ სახესაც ისეთს გამომეტყველებას აძლევს: მუშაობს თვალებით, ტუჩებით, ლოყებით და, რა ვიცი, კიდევ რით... ერთი სიტყვით, ეშხს იჩენს და მერცბახერს რომ ასეთი ქალები ენახა, დარწმუნებული ვარ, მათს ეშხს ძალიან შეაქებდა.

საჭიროდ დავინახე ჩვენის ეშხიან ქალების დასაცველად ეს უთუოდ მეთქვა: რომ არ გვყავდეს, მაშინ—ჰო, მაგრამ, მადლობა ღმერთს, გვყვანან ასეთები და ვითომ რატომ არ უნდა მოვიხსენიოთ. ჩვენმა ინსტიტუტ-გიმნაზიებში გაზრდილმა ქალებმა და განსაკუთრებით დიდკაცობის ქალებმა რომ ეშხიც არ იცოდნენ რა არის, მაშინ ხომ მთლად...

ამითი იმისი თქმა-კი არ გვინდა, ვითომ მერცბახერის აზრი სრულიად შემცდარი იყოს. უკვე ვთქვით ზევით, რომ მისი აზრი „მთლად“ სინამდვილეს არ ეთანხმება. ის, რასაც მერცბახერი ეშხს ეძახის, ჩვენის ქალების უმრავლესობას მართლა აკლია. მერცბახერს „ეშხი“, მოკლედ თუ ვსტყვით, შინაგან გრძნობათა სახეზედ გამოხატვაა,—გრძნობის გამომჟღავნება, დასანახავ გახდომაა. ჩვენის აზრითაც, ეს თვისება ბევრს ქართველ ქალს აკლია. ამისი მიზეზი ჩვენს საზოგადოებრივს ცხოვრებაში და ზნე-ჩვეულებაში უნდა იმალებოდეს.

რომ გრძნობის გამომჟღავნებას, გამოაშკარავებას მიეჩვიოს ადამიანი, ამისათვის საჭიროა, გამომჟღავნებისათვის ხშირი შემთხვევა ჰქონდეს ცხოვრებაში. ასეთი შემთხვევები-კი ჩვენებურს ქალს იშვიათადა აქვს. ჩვენი ცხოვრება არაა გაშლილი; თვითოეულის ჩვენგანის სამოქმედო ასპარეზი არაა ფართო და მეორისაზედ გადაბმულ-დაკავშირებული. ამიტომ ერთმანეთში გასვლა-გამოსვლაც ნაკლებია. მართალია, სტუმრობა და ჭამასპინძლება ვიცით, მაგრამ ასეთს შემთხვევებში ერთმანერთს ჰხვდებიან უფრო ნათესავები ან ახლო ნაცნობები. ეს შეხვედრაც ოჯახებში ხდება, რადგანაც ოჯახური ცხოვრება ჯერ-ჯერობით მტკიცედა გვაქვს დაცული. ამიტომაც ჩვენებური ქალის ერთად-ერთი ასპარეზი ოჯახია. იგი იშვიათად გადის ხალხში, იშვიათად ჰხედავს უცხოს და, რაც აქ თავი საქმეა, იშვიათად ირჩევს თვითონ თავისს საქმროს. საზოგადოება მას თავისუფლებისათვის სძრახავს. საკმარი ა ახალგაზრდა გაუთხოვარმა ქალმა ვაჟთან მარტოდ გაისეირნოს, რომ მთელი მიდამო მის შესახებ ჭორებით გაივსოს. იგი იძულებულია „თავდაჭერილათ“ იყოს და გრძნობას გარედგან მუდამ საცო დასდოს. იგი უნდა ემორჩილებოდეს მშობლების ნებასა და სურვილს, რადგანაც სრულიად მათზეა დამოკიდებული. მას არ აქვს თავის შენახვის საკუთარი წყარო ცხოვრებაში, არა აქვს ეკონომიური დამოკიდებლობა და ამიტომ არც პირადი თავისუფლება და საზოგადოებრივი დამოუკიდებლობა. სადღაც აკაკის ლექსში ამბობს იმერელი ქალი: „სიყვარული უნდა ჩუმო“ და ეს, ჩვენის აზრით, ძალიან დამახასიათებელია ქართველ ქალისათვის.

ამ სტრიქონების დამწერს შემთხვევა ჰქონია ენახა, რომ ქართველი დედა ასე არიგებდა თავისს ახალგაზრდა გასათხოვარს ქალს, როცა ისინი წირვის მოსასმენად ეკლესიაში აპირებდნენ წასვლას: „შვილო, მუდამ შენს წინ იყურე, განზედ არავის შეჰხედო, თვალი არავისზე მიგიჩერდეს,—სირცხვილიაო“. ასეთი დარიგებანი ეძლევათ პატარაობიდგანვე ჩვენებურს ქალებს: განზედ გახედვ-გამოხედვა სირცხვილია, ვისმესთან ლაპარაკება სირცხვილია, გაცინება სირცხვილია, ერთის სიტყვით, ცოტათი თავისუფლად მიმოხვრა და სითამამე სირცხვილიაო, დ

კავკასიის მომავალი გამოფენა.

—

5 ივნისს კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში პრესსის წარმომადგენელთა კომისიას სხდომა ჰქონდა გამოფენაზედ სასტამბო საქმეთა პავილიონის გამართვის შესახებ მოსალაპარაკებლად. კომისიამ, სხვათა შორის, დაადგინა: გამოფენის დროისათვის შედგენილ იქმნას მოკლე ისტორია ადგილობრივის პრესსისა, გამართონ გამოფენაზედ წიგნთ-საცავი და სთხოვონ სხვა-და-სხვა რედაქციებს თავისი გამოცემანი გამოგზავნონ, აგრეთვე მიენდო კომისიის თავმჯდომარეს სასტამბო საქმეთა პავილიონის მოსაწყობად და გასამშვენებლად საჭირო თანხა იქმნეს გადადებული.

—

ტფილისის ფოტოგრაფმა მიშჩენკომ კომისიას პრესსის განყოფილებაში 15 ოთხ-კუთხ არშინ ადგილის დათმობა სთხოვა ფოტოგრაფიულ სურათების დასაწყობად. კომისიამ თხოვნა შეიწყნარა.

—

კავკასიის სამეურნეო-სამრეწველო გამოფენაზედ ექსპონატების მიღება აგვისტოს 10-დგან იქმნება შეწყვეტილი.

—

გამოფენის მომწყობს უმთავრესს კომიტეტში ფინანსთა მინისტრის წარმომადგენლათ ს. ო. ლამბაროვა დანიშნული.

—

კურსკის გუბერნიის სამეურნეო ნაწილის რწმუნებულმა გამოფენის გამგე-კომიტეტს ექსპონატებათ თავისს გამოცემათა რამდენიმე ცალი წიგნი გამოუგზავნა.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ახალციხე. ღვთის რისხვას რომ იტყვიან, სწორედ ის ეწვია ახალციხესა და მის მიდამოებს. ოთხს მკათათვეს, ნაშუადღევის ოთხ საათზედ, ამოვარდა საშინელი ქარი, რომელსაც თან მოჰყვა შხაპუნა წვიმა ქარიშხალმა ქუჩები ხის ფოთლებითა და დამტვრეული ტოტებით აავსო. ამ უბედურებას, როგორც იქნებოდა, გაუძლებდა ადამიანი, რომ სხვა უბედურებაც ზედ არ დაჰმატებოდა. ასე, ხუთის ოცი წამი იქნებოდა, რომ ქარიშხალი სეტყვით შეიცვალა და დაუწყო ულმობელად რეკვა და ახრება უბედურს ქალაქს. სეტყვა ხშირი და მეტის-მეტი მსხვილი იყო, თითო-ოროლა სიდიდით ქათმის კვერცხს სჯობდა. სეტყვა გაგრძელდა 35 წამი და სულ ერთიანად გაალახა ნათესი, ბაღები, ბოსტნები და ბახჩები. სეტყვა ისეთი ძლიერი იყო, რომ ბოსტნეულობა ძირიან-ფესვიანად ამოჰგლიჯა და მიწას მოშორებული ნიადაგმა წაიღო. ნაბოსტნარს აღარც კი ეტყობა, იყო აქ ოდესმე ნათესი თუ არა, ისე მოატიტვლა აქაურობა და წალეკა შემდეგ შლამით ნიადაგმა.

ქუჩები და ბოსტან-ბაღები სადამომდის მოფენილი იყო სეტყვით, ასე რომ ქალაქი და მისი მიდამონი ზამთარს მოაგონებდათ. ზარალი ჯერ ცნობაში არ არის მოყვანილი, მაგრამ დიდი უნდა იყოს. მილეწილ-დამსხვრეული ფანჯრები რომ არ ვიანგარიშოთ და სათვალავში არ მივიღოთ სახლების გახრებული ქვედა სართულნი, რომელიც ღვარ-ნაშმა აავსო და დააზიანა, მარტო წახდენილი ბოსტან-ბაღების საფასური რამდენსამე ათას მანათს გადააჭარბებს. სამწუხარო და სავალალო ისაა, რომ დაზარალდა ღარიბი მოქალაქობა, რომელსაც ამ ღვთის რისხვის შემდეგ სავსებით გაუწყდება ლუკმა-პური და როგორ უნდა გაიტანოს თავი ახალ მოსავლამდე, ეს ღმერთმა უწყის. მომეტებული ნაწილი ქალაქის მკვიდრისა ღარიბ-ღატაკია და დღიურითა სცხოვრობს, ბაღ-ბოსტნების შემოსავლით ირჩენდა სულსა. წელს საბაღე და საბოსტნე ადგილებს ახალი გადასახადი დაედო, რაიც შეუტანელი დარჩება და ამ გვარად პირველშივე აქაურ მოქალაქეს „ნედოიმკა“ დაეკვეცება, რომელიც ისედაც წელში გაწყვეტილს უფრო ძლიერად მოღუნავს და სახელმწიფოსთან პირშავად გამოიყვანს ძალა-უნებურად.

სეტყვის შემდეგ გულსაკლავს სურათს წარმოადგენდნენ გაოხრებული ბოსტან-ბაღების პატრონნი. გულ-ხელ დაკრეფილნი მწარედ იცრემლებოდნენ და ბედსა სწყევლიდნენ. ბავშვების დრიალს ხომ საზღვარი არა ჰქონდა.

სოფლებიდგან ჯერ ამბავი არ მოსულა სეტყვის ნავნებისა, მაგრამ ცხადია, რომ დაირეგვებოდა და გაოხრდებოდა არა ნაკლებ ათი-თხუთმეტი სოფლისა, რომელნიც ზედ აკვრიან ქალაქ ახალციხეს. ჭინახული მოთიბული მაინც რომ ყოფილიყო, შესაძლებელია დაბულდულებული მოსავალი გადარჩენილიყო, მაგრამ საუბედუროდ ჭინახული აქეთკენ ჯერ არ გაჭრილა, მხოლოდ თითო-ოროლა ყანაა მოთიბული.

საერთოდ აქაური მხარე შევიწროებულია უმამულობით, რის გამოც ხალხი, როგორც სოფლელი, ისე მოქალაქე, არაქათ გამოლეულია. ნივთიერ ჩვეულებრივ სიდუხჭირეს სტიქიური უბედურებაც ზედ დაემატა და, გგონებთ, რომ აქაურებს წყალი წაიღებს, თუ მოულოდნელად ბედმა არ გაუღიმა, მაგრამ გაუღიმებს-კი?

არავინ

—

ქ. გორი. ამ უკანასკნელს ხანებში ქ. გორში ჯავახეთიდგან რამდენიმე ქართველი კათოლიკე გლეხი თურმე ჩამოვიდა და გორის ქართველ კათოლიკეთა მოძღვარს გაბრიელ ასლანიშვილს მიჰმართეს თხოვნით: ჯავახეთისა და მესხეთის ქართველები საკმარისად გავმრავლდით, ადგილები აღარ გვეყოფნის, უადგილობა გვაწუხებს; ჩვენში ძრიელ ბევრნი არიან ისეთი მეოჯახენი, რომელთაც მტკაველი მიწა აღარ მოეპოვებათ. ხალხი გამრავლდა; სადაც აქამდე ერთი ოჯახი იყო, იქ დღეს ხუთი ოჯახია. გაჭირებული აქეთ-იქით იწყეს წასვლა-წამოსვლა, ზოგნი არდაგანისკენ წავიდნენ, ზოგნი სხვაგან, მაგრამ იქ დიდს გაჭირებაში ჩავარდნენ.

ეხლა მოგმართავთ თქვენ და გთხოვთ, რომ თქვენს კუთხეში, აქ, გორის მაზრაში, საეკკლესიო მამულებზედ რამე ადგილები იჯარით გვიბოძოთ. გორის ქართველ კათოლიკების ეკკლესიას, მართლაც, აქვს რამოდენიმე თავისუფალი მამული. პატივცემული მოძღვარი გაბრიელ ასლანიშვილი მართლაც დიდად მოწადინებული თურმეა, რომ აღნიშნულს საეკკლესიო მამულებზედ რამდენიმე გაჭირვებული გლეხი დაასახლოს. საჭიროა მხოლოდ, რომ მოძღვრის წადილს გორის კათოლიკენიც შეუერთდნენ და ერთის ძმურის სიყვარულითა და ქრისტიანობისთვის სიბრალულით გამხნევებულთ გაჭირვებულთ დახმარება აღმოუჩინონ.

ზ—ია

რუსეთი

—

მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ მთავრობას განზრახვა აქვს დედათა საშუალო სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულ ქალებს უნივერსიტეტების საისტორიო-საფილოლოგო ფაკულტეტზედ ყურის-მგდებლად შესვლის უფლება მისცეს. ამ ფაკულტეტზედ სწავლა-დამთავრებულთ მასწავლებლობის ნება ექმნებათ დედათა გიმნაზიებისა და ინსტიტუტების ყველა კლასში და აგრეთვე ვაჟთა საშუალო სასწავლებლების უმცროს კლასებში.

— იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს სისხლის სამართლის ახალ დებულების შედგენა, უკვე დაამთავრა პროექტი სამსახურის დროს დანაშაულობათა შესახებ. ამ პროექტს მალე სახელმწიფო საბჭოში შეიტანენ განსახილველად. კომისიას უმთავრესად აინტერესებდა ეგრედ წოდებული „მესამე პუნქტი“, რომლის ძალითაც მოხელის დათხოვნა შეიძლება მიზეზთა განუმარტებლად. პროექტით ეს „მესამე პუნქტი“ სრულიად გაუქმებულია. კომისიამ ამას გარდა მოზღუდა უფროსთა უფლებანი სადისციპლინარო სასჯელის გადაწყვეტის საქმეში. მოხელეთა დათხოვნა პროექტით დამოკიდებული იქმნება განსაკუთრებულ საკრებულოზედ, რომელიც სრულიად დამოუკიდებელი იქმნება ამა თუ იმ უწყებისაგან. ამ საკრებულოს წევრებად იქმნებიან უმთავრესად ადმინისტრაციის მოხელენი.

— სახელმწიფო რკინის გზების წარმომადგენელთა საზოგადო კრებამ დაადგინა იშუამდგომლოს ფინანსთა მინისტრის წინაშე იმის შესახებ, რომ გადასახადისაგან განთავისუფლებულ იქმნენ რკინის გზის ელევატორები, საწყობები, საქალაქო სადგურები და რკინის გზის ის ბუფეტები, რომლებსაც თვით გზა ინახავს.

უცხოეთი

ინგლის-ტრანსვაალის ომი.

მოხუცს პრეზიდენტს ტრანსვაალისას 9 ივლისს (ახალის სტილით) ბურების

ასე სულ ამ „სირცხვილია“-ს სმენაში იზრდება ქალი. მოვა უცხო ვინმე სტუმრად ოჯახში და მშობლები პატარა ბავშვებს სტუმართან გაკარებას, ლაპარაკებას, გახუმრებას და საზოგადოდ გათამამებას უკრძალავენ. „სტუმარი არ შეაწუხოთ, მოშორდით, გარეთ გადით, იქ ითამაშეთ, აქ ნუ შემოხვალთო“,—აი სიტყვები, რომლებითაც მიჰმართავს ხოლმე ასეთს შემთხვევაში შვილებს დედა. ამის გამო ბავშვებიც უცხოს ვერ ეჩვევიან, გაურბიან. რამდენჯერ დამიძახნია ჩვენში ამა თუ იმ ბავშვისათვის, მოდი-მეთქი,—მინდოდა დავლაპარაკებოდი, მივალერსებოდი, მაგრამ რა გგონიათ? იგი მოსვლის მაგივრად ისე სწრაფად გაქცეულა, რომ თვალიც-კი ველარ მომიკრავს. ასეთს მორცხვობაში აღზრდილი ბავშვი, ეჭვი არ არის, დაასაკებულიც მორცხვი იქმნება. შემდეგში ვაჟი ასე თუ ისე კიდევ ეჩვევა ხალხს, საზოგადოებასა და ამის გამო ძველს ხასიათსაც იცვლის. ქალი-კი საზოგადოებაში ისევ მორცხვი და მობუზული რჩება.

ბ-ნმა მერცბახერმა რომ ეს გარემოება იცოდეს, მაშინ იგი ქართველ ქალის უემხოობასა და სახის გამოუმეტყველობას სულ სხვა თვალით შეხედავდა და, თუ ეს კითხვა მაინც და მაინც აინტერესებდა, ზეზეურის შთაბეჭდილებით არ დაკმაყოფილდებოდა და საგნის უფრო საფუძვლიანად გაგებას ეცდებოდა. გერმანიაც რომ ასრე ზრდიდნენ ქალებს, არც ნემეცის ქალი მაინცა და მაინც მოხდენილი და მიმზიდველი, და მაშინ ხომ სულ ტლანქი და მოუხეშავი იქნებოდა. მაგრამ საქმე ისაა, რომ აქაური აღზრდა და საზოგადოებრივი ცხოვრება სულ სხვანაირია. აქ პატარაობიდანვე ყველა ხალხს, საზოგადოებასა და თამამად ქცევა-მოქმედებას ეჩვევა. მიდიხართ, მაგალითად, ქუჩაში; შეგხვდებათ ხუთის წლის ბავშვი, რომელიც ასეთის თხოვნით მოგმართავთ: „ბოდიშს ვიხდი, ბატონო, შეწუხებისათვის, მიბრძანეთ, თუ შეიძლებოდეს, რომელი საათია“. უთუოდ იგი დედას გაუგზავნია რამის საყიდლად, ან სათამაშოდ გაუშვია და დაუბარებია, ამა და ამ საათზედ სახლში მოდიო. ალბად ამიტომ უნდა მას დროს გაგება. თქვენც იღებთ საათს ჯიბიდგან და თხოვნას უსრულებთ, რაზედაც იგი კვალად მადლობას გიხდით და შინისაკენ გარბის.

ადგილი ნებას არ გვაძლევს, თორემ ამისთანა მაგალითს გერმანიის ცხოვრებიდგან მრავალს მოგახსენებდით. მხოლოდ ერთი მაგალითი კიდევ. ეს არის მოკითხვის ბარათი, რომელსაც ერთი ექვსის წლის-ნახევრის გოგო სწერს ამ სტრიქონების დამწერს, კაცს, რომელიც მას მხოლოდ ერთად-ერთხელ უნახავს თავისს სიცოცხლეში. გერმანულს დედანში, რა თქმა უნდა, გრამატიკული შეცდომები ბლომად მოიპოვება. აი თვით წერილიც:

„საყვარელო ბიძიკო! გიგზავნი საჩუქრად ჩემს სურათს, რომ არ დამივიწყდე, გამაგებიე ერთი, როდის მოხვალ? როცა შენ მოხვალ და თან წამიყვან, მე მაშინ დედასა და მამას სურათებიან ღია წერილებს გავუგზავნი. საყვარელო ძია, კვირას ჩვენ ცვეცენში ვიყავით, ელექტრონის რკინის გზით წავედით ერთს მეზობლის ცოლიან და მარწყვი ვჭამეთ, რამდენიც-კი გვინდოდა; მე ვარდები დავკრიფე, ყვავილები დავკრიფე. სახლში ელექტრონის რკინის გზით წავედით და მუსიკა უკრავდა. მე ახალი ქუდი მიყიდეს და, როცა შენ წაგყვები, ახალს ქუდს დავიხურავ და ჩემს თეთრს კაბას ჩავიცვამ. არ ვიცი, შენ ნებას მომცემ თუ არა, რომ მერე ჩემს დედ-მამასთან წამოვიდე, მაგრამ მე რომ ფული არა მაქვს? ვშიშობ, და თქვენ მანდ გაქვთ კი სათამაშო ნივთები? მოდი მალე და წამიყვანე კავაუკაზუში (ვითომ: კავკასიაშიო). გიგზავნი ბევრს მოკითხვას და კოცნას; იყავ ბედნიერად, იცოცხლე კარგად, ძია! შენი რუთე“.

რასაკვირველია, გერმანელ ქალების ცქერას შეჩვეულს მერცბახერს ქართველ ქალის სახის გამოუმეტყველობა თვალში ეცემოდა და ეუცხოვებოდა. გერმანიაში ქალს ცა ქუდით აქვს და დედა-მიწა—ქალამნათა. იგი ისრევე თამამი და ძალდაუტანებელ ქცევის მქონეა გარეთ, ხალხში, როგორც თავისს ოჯახში. იგი ისრევე არ მორცხვობს უცხოსთან, როგორც თავისთან—ნათესავებთან. მქონია შემთხვევა გერმანულს ოჯახებში ვყოფილიყავი და ასეთი სურათი მენახა: სტუმრების წინ ცოლი ქმარს მოჰხვევია და მადიანად გადაუკოცნია. მას სრულიადაც არ შერცხვენია არც ჩემი, მისს ოჯახში პირველად მისულ კავკასიელ კაცისა, და არც სხვისი, თავისისავე თანამემამულისა. არა მგონია მთელს საქართველოში ისეთი ოჯახი მოიძებნებოდეს, სადაც დედაკაცი, მასთან სტუმრათ მისულ ევროპიელის წინ, თავისს ქმარს მოეხვიოს და მიესიყვარულოს, მაგრამ გარეგნობა ხშირად მომატყუებელია, და აქედგან რომ ვინმემ ის დასკვნა გამოიტანოს, გერმანელი ქალი ქართველ ქალზედ უფრო გრძნობიერი და მოსიყვარულეაო,—ეს დიდი შეცდომა იქნება. ეს ასე არ გახლავთ. საეჭვოა, რომ გერმანელსავით გრძნობა მოკლებული და გაცივებულ-გაყინული ხალხი მეორე კიდევ მოიპოვებოდეს მთელს დედამიწაზედ. და გერმანელი ქალიც გრძნობის სიმდიდრითა და გულითადობით რომ ქართველს ქალს ვერ შეედრება, ეს ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, ვისაც ცოტად თუ ბევრად გერმანელი გაუცვნია და მისი ბუნება შეუსწავლია. გერმანულის ენის ლექსიკონი 80 ათასზედ მეტს სიტყვას შეიცავს, მაგრამ ქართულ „ეგენაცვალე“-ს მზგავს სიტყვას იქ ვერ იპოვით.

მართალია, მერცბახერი არას ამბობს სახელდობრ ქართველ ქალის გრძნობის სიღარიბის თუ სიმდიდრის შესახებ, მაგრამ მისი სიტყვები ცივისა და გამოუმეტყველის სახის შესახებ შეიძლება კაცმა ისე გაიგოს, რომ იგი ვითომ ქართველ ქალს გრძნობის სიღარიბეს სწამებდეს. და ეს შენიშვნაც ჩვენის მხრივ ამან გამოიწვია. არა, ჩვენ, ქართველები, სრულიად კმაყოფილნი ვართ ჩვენის ქალების სილამაზითა და გრძნობიერებით და გერმანელებს, გაცვლაზე რომ მიდგეს საქმე, მარტო ამისათვის ქართველს ქალებს ნემეც ქალებში არ გავუცვლით. თუ მათს სახეს გამომეტყველება აკლია, მოვა დრო,—ჩვენი ცხოვრება განვითარდება, სწავლა-განათლება გავრცელდება, უფრო თავისუფალი ურთიერთობა დამყარდება და ჩვენი ქალებიც მერცბახერის წუნს თავიდგან ადვილად აიცილებენ. სულ სხვა იქნებოდა, რომ მერცბახერს ქართველი ქალი, როგორც მეოჯახე, დაეფასებია და მისთვის წუნი დაედო. რომ ეთქვა: მეოჯახობა არ იციან, სისუფთავეზედ არა ჰზრუნავენ, ზარმაცები არიან, ყაირათობა და დაზოგვა შეგნებული არა აქვთო და სხვანი,—სრული საფუძველი ექნებოდა და ჩვენც აქ ქართველ ქალების დასაცველად, სამწუხაროდ, ვერასფერს ვიტყოდით. ეს არის ქართველ ქალის მთავარი სუსტი მხარე, რომელიც ყველამ კარგად ვიცით.

(დასასრული იქნება)

ბიბლიოთეკა

გენერლების დუ ბოტასა და ქრისტეანე დევეტისაგან ორი რაპორტი მიუღია. ბოტა ატყობინებს, რომ წარსულს კვირას ბურების სხვა-და-სხვა რაზმები შემოუვლია ტრანსვაალში და ყველანი საბრძოლველად ძლიერ კარგად მომზადებულნი დახვედრიან. გენერალი დევეტიც სწერს თურმე თავისს მხრივ, რომ მებრძოლს ბურებს კაპის ახალშენიდგან ჰოლლანდიელნი დღითი-დღე ემატებიან.

— როგორც ლორენცო-მარკეზიდგან ატყობინებენ გაზეთს, ბურების გენერალს დუ ბოტას განზრახვა თურმე აქვს არც ერთს ინგლისელს აღარ აპატიოს-რა, თუ რომ ინგლისი თავისას არ დაიშლის და ბურებს კანონიერად მებრძოლ მოპირდაპირე მხარეთ არ იცნობს და ისევ ყაჩაღების სახელით მონათლავს და ტყვეებს ისრე უდიერად მოეპყრობა, როგორც დღემდის იქცეოდა.

— როგორც დეპეშით იუწყებიან მიდლბურგიდგან, ინგლისელებს ბევრის ცნობილი კაცისათვის თითქმის ძალა დაუტანებიათ და ისრე მიუყვანიათ დანიშნულს ადგილას, რომ დასასჯელად გამზადებულის აფრიკანდერის მარაისის ჩამოხრჩობას თურმე დასწრებოდნენ. მარაისს ინგლისელები სახელმწიფო ღალატს აბრალებდნენ და უნდოდათ ამ სასჯელის ნახვით სხვები გაეფრთხილებინათ.

— ივნისის განმავლობაში ინგლისელებს სამხრეთს აფრიკაში სულ 1500 ჯარის კაცი ძლივს გაუგზავნიათ ინგლისში მდგომ სხვა-და-სხვა რაზმებიდგან. როგორც ეს გარამოება ამტკიცებს, ინგლისელებს ეტყობა ძლიერ გასჭირებიათ, რომ ისედაც მცირედს სამშობლოს დამცველს ჯარს 1,500 კაცი ძლივს გაგლიჯეს აქა-იქა და სამხრეთს აფრიკაში გაგზავნეს.

— ინგლისის ცნობილი ლიბერალი ორგანო „Speaker“ ამტკიცებს, რომ კორესპონდენციას ლორდის რობერტსისა და ბურების გენერლის ბოტასას, რომელიც „ლურჯს წიგნში“ იყო მოთავსებული, ინგლისის მთავრობამ ბევრი რამ გამოაკლო და არ გამოაქვეყნა; ასე, მაგალითად, დუ ბოტას წერილიდგან მეორე ნახევარი, სადაც ნათქვამი იყო: „გარწმუნებთ, რაც უნდა უდიერადა და სასტიკად მოეპყრათ ჩვენს დედაკაცებსა და ბავშვებს, ამითი მაინც ვერ გვაიძულებთ და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზედ ხელს ვერ აგვაღებინებთო“, სრულიად ამოგლეჯილია და სხ.

გერმანია. როგორც „Figaro“-ს ბერლინელი კორრესპონდენტი შარლ ბონნეფონი იუწყება, გერმანიას დიდი კრიზისი სწვევია; სხვათა შორის, გაკოტრებულან:

სილეზიის სააქციო საზოგადოება ქიმიურის მრეწველობისა გერლიცში და ბანკი თეოდორე ლევენბერგისა ბერლინში; თვითონ ლევენბერგი გაქცეულა.

სამრეწველო გაჭირვება ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა და თავს თურმე იჩენს იქაც-კი, სადაც მისი ნიშნები არ არსებობს. ადგენენ ამხანაგობას, რომ ნიადაგ-შერყეულს ბანკებს მხარი დაუჭირონ.

რეინის ბანკი ვერაფერს სანუგეშო მდგომარეობაშია. ბრესლავლის ვექსილების გამანაღდებელმა ბანკმა თავისი თანხა 10,000,000 მარკით შეამცირა.

ვესტფალიის ამხანაგობათ განაცხადეს, რომ ქვის ნახშირის ამოღებას ერთი მესამედით შეამცირებენ.

ელექტრონის ამხანაგობამ „Helios“ („ჰელიოსმა“) განაცხადა, რომ საქმის განსაგრძობად ფული უშოვნია, მაგრამ საქმეს ცოტათი შეამცირებს.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

ათინაში მალე საერთაშორისო არქეოლოგთა კონგრესი მოხდება, რომელმაც უნდა განიხილოს გეგმა ძველის პართენონის აღდგენისა. სვეტები ამ პართენონისა დღესაც მთელია თურმე, ასე რომ იმისი აღდგენა ძალიან დიდ შრომასა და ფულს არ მოითხოვს.

* * *

როგორც მკითხველებმა უკვე უწყიან, რუსეთში მოვიდნენ ტიბეტის საგანგებო დესპანნი, დალაი-ლამას მიერ გამოგზავნილნი. დესპანნი შუაგულ აზიიდგან მოვიდნენ, ტიბეტიდგან, ევროპიელთათვის ჯერეთ თითქმის სულ უცნობ ქვეყნიდგან. ტიბეტს ბუდისტებისათვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც პალესტინას ქრისტიანეთათვის. რაკი ტიბეტი ევროპაში დესპანების გზავნას შეუდგა, შეიძლება ამიერიდგან აღარ აუკრძალონ ევროპიელთ ტიბეტში მგზავრობა; თორემ დღემდე ეს ქვეყანა სრულიად გამოუკვლეველია და ევროპიელთათვის საიდუმლოს შეადგენს. საშუალო აზიის შესანიშნავმა მკვლევარებმა ვერაფრის გულისათვის ვერ მოახერხეს ლხასში, ამ ჩინელთა რომში, შესვლა; ეს მკვლევარნი ან იღუპებოდნენ, ან კიდევ შუა გზიდგან უკანვე ბრუნდებოდნენ. დიდი წვალება და ტანჯვა გამოიარა 1898 წელს მამაცმა ინგლისელმა ჰენრი ლაუდერმა. ტიბეტელებმა კინაღამ სიცოცხლეს გამოასალმეს ეს მოგზაური. თვით დალაი-ლამის ნახვა დღემდე მხოლოდ ორმა კაცმა შესძლო: ბერძენმა არქიმანდრიტმა ხრისანფმა 1792 წელს და ინგლისის სამსახურში მყოფმა ინდიელმა ჩანდრა-დასმა 1881 წელს.

დღეს ტიბეტს უმთავრესად ორი სახელმწიფო აქცევს დიდ ყურადღებას—რუსეთი და ინგლისი. რუსეთის მხრიდგან ტიბეტში შესვლა ძნელია, ხოლო ინდოეთის მხრიდგან—უფრო ძნელი. ტიბეტში წამსვლელმა უნდა გაიაროს ჯერ ილი და კაშგარია, ეს ორი მეტად მდიდარი და ნაყოფიერი ველი. ამ ადგილებში მგზავრობა ადვილიცაა და სასიამოვნოცაა. სამაგიეროდ კაშგარიიდგან ტიბეტში გადასვლა ძალიან ძნელია; საოცარი სიცხე, უდაბნო ადგილი ყოველ ნაბიჯზედ დაბრკოლებას უწევს მგზავრს. თვით ტიბეტის მცხოვრებნი გაუნათლებელნი და მეტად ცრუ-მორწმუნე ხალხია. ტიბეტში მამა-კაცთა რიცხვი ბევრითა სჭარბობს დედა-კაცთა რიცხვს. მამაკაცთა უმრავლესობას ლამები შეადგენენ, სასულიერო წოდების კაცნი. მთელ ტიბეტში თითქმის არც ერთი ქალაქი არ მოიპოვება, რადგანაც ტიბეტელები ერთს ადგილას არა სცხოვრობენ და ხან ერთ მონასტერთან გადადიან, ხან მეორესთან. მონასტერში ცხრა წლიდგანვე შედიან; ჯერ ახლად შესული მორჩილად არის. თხუთმეტის წლისას ეგზამენს აბარებინებენ და მთავრის მაგვარ თანამდებობას აძლევენ. რამდენისამე წლის სამსახურის შემდეგ ჰნიშნავენ ასეთ კაცს დალამად, ე. ი. მონასტრის წინამძღოლად. მონასტრები ემორჩილება დალაი-ლამას, ამ ბუდისტთა პაპის.

სამღვდელოება მეტად სარგებლობს ხალხის სიბნელით და მთელ იმის ქონება-სიმდიდრის ფაქტიური პატრონი ხდება. კაცების მონასტრებს გარდა არსებობს ტიბეტში ქალების მონასტრებიც. ტიბეტში მრავალ-ცოლობაა გავრცელებული, თუმცა სიღარიბის გამო ბევრს ერთ ცოლზედ მეტი არა ჰყავს. მიღებულია ტიბეტში აგრეთვე მრავალ ქმრობაც. შეხვდებით ბევრგან დედაკაცს, რომელსაც ორი, სამი და ზოგჯერ ოთხი ქმარიცა ჰყავს. ასეთი შემთხვევა მაშინაა, როდესაც საცოლე მდიდარია, ხოლო საქმროები ღარიბნი არიან. შვილებს ქმრები თანასწორად იყოფენ, ან ყველას დედას უტოვებენ. რადგანაც ტიბეტელებს სწამთ კაცის სულის გადასახლება (იმათის აზრით, სიკვდილის შემდეგ კაცის სული სხვა კაცისა, ან ცხოველის გვამში შედის), ამიტომ მკვდარის კაცის გვამს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ტიბეტელების თვალში. გვამებს ან წყალში ჰყრიან, ან მთაში სტოვებენ ფრინველთა საკვებად, ან კიდევ სწვავენ. ტიბეტი ღარიბი ქვეყანაა; მთიანი ადგილი, უმეტეს ნაწილად თოვლით დაფენილი, იგი მცირე მოსავალს იძლევა. ამას გარდა მთელი ტიბეტი მონასტრებითაა მოფენილი, რომელთაც არავითარი გადასახადი არ ერთმევათ.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

6 ივლისი.

პეტერბურგი. კანონ-დებულებათა კრებულში გამოქვეყნებულია ფინლიანდიისათვის უმაღლესად დამტკიცებული ახალი წესდება საბეგრო გადასახადის შესახებ და უმაღლესი მანიფესტი: „წყალობითა ღვთისათა ჩვენ, ნიკოლოზ II, იმპერატორი და თვით მპყრობელი სრულიად რუსეთისა და სხვ., ვუცხადებთ ყველა ჩვენს ერთგულს ქვეშევრდომთ: ფინლიანდიის მდგომარეობა რუსეთის იმპერიაში ავალებს ფინლიანდიის მცხოვრებთ, მონაწილეობა მიიღონ ტახტისა და მამულის დაცვის საქმეებში. ნეტარ-ხსენებულმა პაპა ჩვენმა იმპერატორმა ალექსანდრე II 1878 წლის $6/_{18}$ დეკემბრის კანონით დააწესა ფინლიანდიისათვის, სახელმწიფოს სხვა ნაწილთა მსგავსად, საყოველთაო პირადი საბეგრო გადასახადი, ამ კანონის შემოღებიდგან 10 წლის შესრულების შემდეგ გამოცდილებამ დაამტკიცა მისი უვარგისობა. ამის გამო ეს კანონი გადათვალიერებულ იქმნა. ამის შემდეგ, დავამტკიცეთ რა ახალი წესდება ფინლიანდიისათვის, ჩვენ საუმჯობესოდ ვცანით გაუადვილოთ ფინლიანდიის ერს ეს გადასახადი. ამისდა მიხედვით დავადგინეთ, ჩარიცხულ იქმნან ყმაწვილ კაცნი მხოლოდ იმ ჯარებში, რომელთაც შეადგენენ განსაკუთრებით ფინლიანდიის მკვიდრნი, და აგრეთვე შემცირებულ იქმნას ყოველ წელს ჯარში გასაწვევ ყმაწვილ-კაცთა რიცხვი. დეე, ეს უკანასკნელი ღონისძიება იმის დამამტკიცებელი იქმნეს, რომ ჩვენ არა გვსურს გაუძნელოთ ფინლიანდიის მცხოვრებთ საბეგრო გადასახადი. გვრწამს-რა, შემოღებული წეს-რიგი უზრუნველს ჰყოფს ფინლანდიის მცხოვრებთა მიერ საზოგადო სახელმწიფო მოვალეობათა ასრულებას, ჩვენ ვბრძანებთ: 1) შემოღებულ იქმნას ზემოხსენებული წესდება ნაცვლად 1878 წ. $6/_{18}$ დეკემბრის წესდებისა, და აგრეთვე მანიფესტი. 2) პირველად ყმაწვილ-კაცთა მოწვევა ახალის წესდებით მოხდეს 1903 წელს. 3) ყმაწვილ-კაცნი, რომელნიც გაწვეულნი იქმნებიან ამ წესდების ძალით, გაგზავნონ ფინნთა გვარდიის მსროლელთა ბატალიონში და დრაგუნთა რაზმში, და ყოველ წელს გაწვეულ კაცთა რიცხვი შეუწონიან ამ ბატალიონისა და რაზმის შევსების მოთხოვნილებას. 4) ჩვენ მიერ ნაჩვენებ ვადის განმავლობაში შემოღებულ იქმნას ფინლიანდიაში შემდეგი დადგენილებანი:

1) ფინლიანდიელთა განშევსებულ ჯარებს უმაღლესი გამგებლობა სამხედრო მინისტრს ეკუთვნის. 2) ამ ჯართა უფროსობა მიენდობა სამხედრო ოლქის უფროსს. 3) ამ ჯარების განმწესება, გაგზავნა და შენახვა ჩვენგან არის დამოკიდებული; ხარჯი გადადებული იქმნება ფინლიანდიის ხაზინიდგან. 4) ეს ჯარები, როგორც მშვიდობიანობისა, ისევე ომიანობის დროს მოწვეულნი იქნებიან სამსახურში რუსეთის იმპერიაში და სამზღვარ გარეთაც. 5) ჯარის-კაცთ რუსული ლაპარაკი და წერა-კითხვა უეჭველად უნდა იცოდნენ ოფიცრად და უნტერ-ოფიცრად დანიშვნის დროს. 6) ვიბორგის გუბერნიის სოფელ რაიიოლის მცხოვრებნი, რომელნიც ფინლიანდიის მკვიდრთ არ ეკუთვნიან, ექვემდებარებიან საზოგადო საიმპერიო წესდებას საბეგრო გარდასახადის შესახებ, მაგრამ უფლება აქვთ გადაიხადონ ბეგარა ფინლიანდიის წესდების ძალით, 7) ფინანსთა მსროლელი ბატალიონები გაუქმებულ იქმნენ, 8) ოლქის სამხედრო საკრებულოს დაარსებამდის ყველა თანამდებობანი ახალის წესდებით აღსრულებულ იქმნას გამწვევ საკრებულოთა მიერ, 9) იმათ, ვინც ამ წესდების გამოცემის დროს სათადარიგოდ ანუ ჯარში იქნებიან დარჩენილნი, დაევალოთ, გადაიხადონ სამხედრო ბეგარა 1878 წ. $6/_{18}$ დეკემბრის წესდების ძალით. ეს ბრძანება გაცემულია პეტერგოფში 26 ივნისს, ათის ცხრაას პირველ წელსა, ხოლო ჩვენის გამეფობიდგან მე-7 წელსა.“

6 ივლისს პეტერბურგში მოვიდა გერმანიის სამოსწავლო გემი „შარლოტა“, რომელშიაც 49 კადეტია და მათ შორის მისი მეფობითი უმაღლესობა გერმანიის იმპერატორის შვილი პრინცი ადალბერტ პრუსიელი.

სარატოვი. გზათა მინისტრი აქ ჩამოვიდა.

კოვნო. აქ არსდება კერძო სავაჭრო სკოლა სახაზინო კომერციო სასწავლებელთა უფლებით; სწავლა 3 წელს გაგრძელდება. მოსწავლენი ემზადებიან სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებებში სამსახურისათვის.

ვაშინგტონი. ჩინეთის საქმეთა შესახებ მიღებულ ნახევრად-ოფიციალურ ამბავში სწერია: „როცა ზოგიერთა ერებმა, რომელთაც თავისი წარმომადგენელი ჰყავთ პეკინში, დაინახეს, რომ საზღაურში მონაწილეობის მიღება საშიშოა, იაპონიის მოთხოვნილებისა გამო, მათ თავისს მხრივ მოითხოვეს უფრო მეტი მონაწილეობის მიღება. იაპონიამ დაინახა, რომ, თუ იგი კიდევ მოითხოვდა, მეტი მონაწილეობა უნდა მიეღო საზღაურშიო, ეს გარამოება სრულიად წაახდენდა მოლაპარაკების საქმეს, ამისათვის მან ჯერ-ჯერობით უკანვე დაიბრუნა თავისი მოთხოვნილება. შეერთებულ შტატების მთავრობა ძალიან სცდილობს იაპონიას რამე გზით მიეცეს საზღაური მომავალში. ამერიკის წარმომადგენელმა როკგილმა მოწერილობა მიიღო დაეთანხმოს წინადადების განხილვაზედ, რომელშიაც ნათქვამია ჩინეთის საბაჟო გადასახადის გადიდების შესახებ, იმ მიზნით, რომ საშუალება აღმოჩნდეს საზღაურის გასასტუმრებლად.

მადრიდი. სენატმა და პალატამ მიიღეს პასუხი დედოფლის მოწერილობის შესახებ; შემდეგ პალატა დაიშალა.

განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან.

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ სამოცი (60) ვაკანსიაა: ორმოც-და-ათი (50) პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის) და ათიც მეორეში (8 და 9 წლის ყმაწვილებისათვის); სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის, ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

60 ვაკანსიიდგან 55 დანიშნულია გარედგან მოსიარულეთათვის, 3 მისაღებად საზოგადოების სრულ ხარჯზე და 2 საზოგადოების ნახევარ ხარჯზე.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზედ იქმნება მიღებული, იმას არავითარი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე, იმან უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი.

ვისაც სურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, მიღებული სინოდის კანტორისაგან, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრის და ჯანმრთელობის მოწმობა.

ვისაც გარედგან მოსიარულეთ სურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, შეუძლებლობის მოწმობის გარდა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზედ დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულ საკუთარ ხარჯზედ ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზედ. ვინც საკუთარ ხარჯზედ შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლისთანავე და ათიც იანვარში.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგი ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской школою, на Лабораторной ул.

აგვისტოს 27 და 28 რიცხვებში მოხდება ხელმეორე გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა და 31 მისაღები გამოცდები. 1 სექტემბერს სწავლა დაიწყება.

დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედგან მოსიარულე მოსწავლეები, რომელნიც სკოლაში მოსვლისთანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1901—1902 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს.

ყველა პანსიონერის მშობელმა უნდა წარმოადგინოს თავდები ტფილისის მცხოვრებთაგანი, რომელსაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართოს, როგორც ფულის თავისს დროზე შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც.

(5—6.—5)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7-го Іюня 1901 г.

სტამბა ქ. ივ. ხუდაძისა დორის-მელიქოვის ქ., № 28.

რედაქტორ-გამომცემელი, ილია ჭავჭავაძე